ხელშეკრულება N144

ქ.ხაშური 28 დეკემბერი 2015 წელი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი მმართველის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ შემოქმედ ხელოვანთა კავშირი „ჯორჯიან არტ ჰოლდინგი“ წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის **ინგა მახარაძის** სახით (შემდგომში მიმწოდებელი), “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N9 ბრძანების მე-3 მუხლის, მე-2 ქვეპუნქტის „ბ“ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

საახალწლო ქუჩის კონცერტის ორგანიზება ჩატარება ხელშეკრულებით და დანართებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

CPV: 79900000 (79952100) –ის და გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოდულის SMP150001206 საფუძველზე

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 25424,00 ლარს (ოცდახუთი ათას ოთხას ოცდაოთხი)

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების მმართველი გიორგი ბოლოკაძე

4.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელედება 2015 წლის 31 დეკემბერს-2016 წლის პირველ იანვარს;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.1%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 28 იანვრამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ხაშურის კულტურის ცენტრების	შემოქმედ ხელოვანთა კავშირი „ჯორჯიან არტ ჰოლდინგი“
გაერთიანება	
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას 27
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070	საიდენტეიფიკაციო კოდი 404912109
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდიBAGAGE22
ა/ა GE04LB0121113193197000	ა/ა GE14BG0000000273248200
_____	_____
გაერთიანების მმართველი	აღმასრულებელი დირექტორი
გიორგი ბოლოკაძე	ინგა მახარაძე

დანართი 1

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ახალი წლის ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა.შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა **25 424 ლარი (ოცდაოთხი ათას ოთხას ოცდაოთხი)** დღგ-ის გარეშე (დღგ 4 576 ლარი).

ღონისძიება ჩატარდება ქ.ხაშურში, ქალაქის ცენტრში ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინ მდებარე მოედანზე 2015 წლის 31 დეკემბერს. კონცერტი დაიწყება 23:00 საათზე, კონცერტის ხანგრძლივობა 2:30 საათი. კონცერტში მონაწილეობა უნდა მიიღოს ცნობილმა ფოლკლორულმა-ინსტრუმენტალურმა ჯგუფმა სატელევიზიო-საერთაშორისო ლაურეატის წოდებით, მრავალფეროვანი, 90 წუთიანი მუსიკალური პროგრამით, ცოცხალი შესრულებით. კონცერტში ასევე მონაწილეობა უნდა მიიღოს 2-3 საესტრადო მომღერალმა ასევე სატელევიზო-საერთაშორისო ლაურეატის წოდებით, 50 წუთიანი, მუსიკალური პროგრამა და ინფორმაცია მუსიკალური კონკურსების შესახებ, უნდა აისახოს ხელშეკრულების N3-4 დანართში. კონცერტის წამყვანი უნდა იყოს ცნობილი ტელე სახე. მონაწილეთა ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პატრიარქისა და პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის მილოცვების ჩვენება პირდაპირი ეთერში წინასწარ დამონტაჟებულ ეკრანზე.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თოვლის პაპის მილოცვა ღამის 12 საათზე, ლექსით „მრავალჟამიერის" ფონზე და ხურჯინიდან მცირედი საჩუქრების დარიგება დამსწრე ბავშებისათვის.

მიმწოდებელი უნდა უზრუნველყოს დაახლოებით 4 წუთიანი მარალხარისხიანი პროფესიონალური ფეიერვერკი შემდეგი პარამეტრებით სიმაღლე: 70-100 მეტრი, 50-60მეტრი გარშემოწერილობით. კალიბრი: 20-40, 600-700 გასროლა, ასევე კონცერტის დაწყებისას მინწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ფერადი კვამლის და 30 ცალი ფრანის გაშვება.

1.მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკონცერტო სცენა:

სცენის ზომა არანაკლებ 7X7-სა (შემსყიდველთან შეთანხმებით), გადახურვა ასაწყობი საკონცერტო დატვირთვით, გადახურვის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 5-6 მეტრი, გადახურვის შესაბამისი ზომის პოდიუმის ზედაპირი და მისი შეფუთვა გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ტიპის ქორეოგრაფიული საკონცერტო ნომრებისათვის. სცენაზე ასასვლელი კიბის რაოდენობა და ზომები თანხმდება შემსყიდველთან.

დანართი 2

	შესყიდვის ობიექტის დასახელება	მომსახურების საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების დრო	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5
	საახალწლო ქუჩის კონცერტი (ბენდი „შენგენი“ და 3 მომღერალი)	მომღერლები 3000 ლარი, ბენდი **4000**	2015 წლის 31 დეკემბერი - 2016 წლის 1 იანვარი	ხაშური
		8700	2015 წლის 31 დეკემბერი - 2016 წლის 1 იანვარი	ხაშური
	სცენა			
	აპარატურა (განათება-გახმოვანება)	6324	2015 წლის 31 დეკემბერი - 2016 წლის 1 იანვარი	ხაშური
	ფეიერვერკი	1500	2015 წლის 31 დეკემბერი - 2016 წლის 1 იანვარი	ხაშური
	თოვლის ბაბუა, ეკრანი, ბანერი	900	2015 წლის 31 დეკემბერი - 2016 წლის 1 იანვარი	ხაშური

	წამყვანი	1000	2015 წლის 31 დეკემბერი - 2016 წლის 1 იანვარი	ხაშური
		სულ: 25424 ლარი		

გიორგი ბოლოკაძე

ინგა მახარაძე

დანართი 3
საკონცერტო პროგრამა

N	შემსრულებლები	სიმღერის რაოდენობა	შესრულების დრო	რეპერტუარი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	ფოლკ. ბენდი „შენგენი“	საკონცერტო პროგრამა	60 წუთი	ფოლკლორული სიმღერები	
2	თედო ქორიძე	5	25 წუთი	თანამედროვე საესტრადო	
3	შოთიკო ტატიშვილი	5	25 წუთი	თანამედროვე საესტრადო	
4	ლაშა რამიშვილი	5	25 წუთი	თანამედროვე საესტრადო	
5	კობა ბარათელი (წამყვანი)		35 წუთი		

გიორგი ბოლოკაძე

ინგა მახარაძე

დანართი 4

N	მონაწილეთა მუსიკალური, სატელევიზიო და საერთაშორისო კონკურსების შესახებ ინფორმაცია	შენიშვნა
	2	3
1	ფოლკლორული ანსამბლი „შენგენი“ - საკონცერტო ტურნეები საქართველოს მასშტაბით, სატელევიზიო გადაცემების მონაწილე (რუსთავი2, იმედი, პირველი არხი), ნიჭიერის მონაწილე	
2	თედო ქორიძე- „საქართველოს ხმა“, უკრაინაში საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული	
3	შოთიკო ტატიშვილი - „Xფაქტორის“ მონაწილე	
4	ლაშა რამიშვილი - მუსიკისა და დრამის თეატრის დასის მსახიობი/მომღერალი, ცნობილი ტელესახე	
5	კობა ბარათელი წამყვანი - რუსთავი 2-ის ცნობილი ტელეპროექტ „კომედი შოუს“ მსახიობი	

გიორგი ბოლოკაძე

ინგა მახარაძე